# ხელშეკრულება №011210/10/163
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გურიელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პსპ ფარმა" წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა გოგილაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის" მიერ **საბიუჯეტო** სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამედიცინო მოწყობილობების (33100000) და ფარმაცევტული პროდუქტების (33600000) შესყიდვა.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 803 (რვაასსამი) ლარს.
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია დანართში.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი პასუხობს კონკრეტული საქონლისათვის დადგენილ ნორმებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 23.12.2016-27.12.2016წ.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კოსტავას 64.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 23.12.2016-31.01.2017წ.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მთ. ვეტექიმი ირაკლი გოჩიაშვილი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი
ა(ა)იპ »თბილისის ზოოლოგიური პარკი »
ქ. თბილისი, კოსტავას 64
საიდ კოდი 404902414

ზურაბ გურიელიძე
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს „პსპ ფარმა“
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 148/3
სს „ბანკი რესპუბლიკა,
კოდი REPLGE22
ა/ა GE72BR 0000 0103 3560 9180
საიდ. კოდი 202203123

გოჩა გოგილაშვილი
დირექტორი

# ხელშეკრულება №011210/10/163-ის დანართი

| | დასახელება | რაოდენობა | ერთ.ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| 33141115 | ბამბა სამედიცინო სტერილური 50გ | 50 | 0.825 | 41.25 |
| | ბამბა სამედიცინო 50გ | 50 | 0.408 | 20.40 |
| 33141113 | ბინტი არასტ. 7X14 | 100 | 0.533 | 53.30 |
| | ბინტი სტერ. 7X14 | 100 | 0.572 | 57.20 |
| 33100000 | წნევის საზ. აპარატი ფონ (ლუქსი) | 1 | 37.722 | 37.722 |
| 33141310 | შპრიცი ერთჯ. 3 მლ რ/დგ | 500 | 0.085 | 42.50 |
| | შპრიცი ერთჯ. 5 მლ რ/დგ | 500 | 0.080 | 40.00 |
| | შპრიცი ერთჯ. 10 მლ რ/დგ | 500 | 0.112 | 56.00 |
| | **ჯამი** | | | **348.372** |
| 33650000 | ბიცილინ-5 1 500 000 ერთ. | 40 | 1.001 | 40.04 |
| | ბიცილინ-3 600 000 ერთ. | 40 | 0.539 | 21.56 |
| | ამპიცილინი კაფს. 0.5გ №10 | 10 | 2.618 | 26.18 |
| 33642000 | დექსამეტაზონი ამპ. 4მგ/1მლ №25 | 3 | 10.527 | 31.581 |
| | დიმედროლი ამპ. 1% 1მლ №10 | 3 | 1.001 | 3.003 |
| | სუპრასტინი ამპ. 20მგ/1მლ №5 | 2 | 7.985 | 15.97 |
| 33616000 | ვიკასოლი 1% 1მლ ამპ. №10 | 5 | 3.504 | 17.52 |
| | დემოტონ-T 10მლ ფლ. №1 ვენის | 3 | 10.403 | 31.209 |
| | დემოტონი-B12 ამპ. 5მლ №5 კუნთის | 1 | 18.865 | 18.865 |
| | მილგამა ამპ. 2მლ №5 | 5 | 9.063 | 45.315 |
| 33661100 | ლიდოკაინი ამპ. 2% 2მლ. №10 | 5 | 0.916 | 4.58 |
| | ნოვოკაინი 0.5% 2მლ ამპ. №10 | 5 | 0.77 | 3.85 |
| | ანალგინი ამპ. 50% 2მლ №10 | 5 | 1.609 | 8.045 |
| | დიკლოფენაკი ამპ. 2.5% 3მლ №10 | 10 | 1.848 | 18.48 |
| 33612000 | ნო-შპა ტაბ. 40მგ. №100 | 2 | 8.393 | 16.786 |
| | ნო-შპა ამპ. 40მგ. 2მლ №25 | 3 | 14.938 | 44.814 |
| 33622000 | სულფოკამფოკაინი 10% 2მლ №10 | 10 | 6.391 | 63.91 |
| 33600000 | ბრილიანტის მწვანე 1% 20მლ | 10 | 0.539 | 5.39 |
| | იხთიოლის მალამო 20% 25გ | 10 | 1.309 | 13.09 |
| | ქეთევან უზნაძ-მჭედლ. მალ. №1 40გ | 2 | 3.165 | 6.33 |
| | ქეთევან უზნაძ-მჭედლ. მალ. №2 40გ | 2 | 3.165 | 6.33 |
| | ვაზელინი სამედიცინო 25გ | 10 | 1.117 | 11.17 |
| | **ჯამი** | | | **454.018** |
| | **სულ ჯამი** | | | **802.39** |

შემსყიდველი
ა(ა)იპ »თბილისის ზოოლოგიური პარკი »
ქ. თბილისი, კოსტავას 64
საიდ კოდი 404902414

ზურაბ გურიელიძე
დირექტორი

მიმწოდებელი
შპს „პსპ ფარმა“
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 148/3
სს „ბანკი რესპუბლიკა,
კოდი REPLGE22
ა/ა GE72BR 0000 0103 3560 9180
საიდ. კოდი 202203123

გოჩა გოგილაშვილი
დირექტორი